

შპს „Portal“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია4

2. მომზადების საფუძველი4

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....4

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....8

5. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან8

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი9

7. სხვა საოპერაციო შემოსავლები9

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები9

9. ფინანსური ხარჯი9

10. ძირითადი საშუალებები10

11. საინვესტიციო ქონება.....11

12. მარაგები.....11

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....12

14. გაცემული სესხები12

15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....12

16. კაპიტალი.....12

17. გადასახადები13

18. მოკლევადიანი სესხები.....13

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები13

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2023	2022
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	2,117,390	2,631,888
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(425,972)	(538,844)
საერთო მოგება		1,691,418	2,093,044
სხვა საოპერაციო შემოსავლები	7	2,506,494	3,492,450
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,117,970)	(759,311)
საოპერაციო მოგება		3,079,942	4,826,183
ფინანსური ხარჯი	9	(342,360)	(69,293)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		67,952	(264,634)
მოგება დაბეგვრამდე		2,805,534	4,492,256
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,805,534	4,492,256

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს:

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

შპს "Portal"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	2,117,390	2,631,888
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(425,972)	(538,844)
საერთო მოგება		1,691,418	2,093,044
სხვა საოპერაციო შემოსავლები	7	2,506,494	3,492,450
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,117,970)	(759,311)
საოპერაციო მოგება		3,079,942	4,826,183
ფინანსური ხარჯი	9	(342,360)	(69,293)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		67,952	(264,634)
მოგება დაბეგვრამდე		2,805,534	4,492,256
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,805,534	4,492,256

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს:


ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

შპს "Portal"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	290,795	785,758
საინვესტიციო ქონება	11	4,406,236	5,416,590
არამატერიალური აქტივები		3,524	3,524
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,700,555	6,205,872
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	54,812	67,881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	808,145	6,508,451
გაცემული სესხები	14	1,685,600	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	3,691	8,053
სულ მიმდინარე აქტივები		2,552,248	6,584,385
სულ აქტივები		7,252,803	12,790,257
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება	16	-	594,345
სულ კაპიტალი		4,000	598,345
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	17	19,797	26,871
გადასახდელი დივიდენდი		248,000	9,000,000
მოკლევადიანი სესხები	18	2,736,603	1,970,293
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	4,244,403	1,194,748
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,248,803	12,191,912
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,252,803	12,790,257

შპს "Portal"**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2021	4,000	7,768,330	7,772,330
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	4,492,256	4,492,256
დივიდენდის გამოცხადება	-	(11,666,241)	(11,666,241)
31 დეკემბერი 2022	4,000	594,345	598,345
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	2,805,534	2,805,534
დივიდენდის გამოცხადება	-	(3,399,879)	(3,399,879)
31 დეკემბერი 2023	4,000	-	4,000

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „Portal“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2013 წლის აპრილში და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404989241.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ბენზინგასამართი სადგურების ფლობა და მათი იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიო ხუციშვილის ქუჩა, N3 . კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანში.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელია შპს პ3. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ:

ნოდარ ხუბაშვილი – 50%

შალვა ხუბაშვილი – 50%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს არსებითი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა ნაგებობები	6-20
ავტოები და რეზერვუარები	5-7
მანქანა-დანადგარები	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	2-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
სხვა ძირითადი საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ და ნახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირი მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან

ამონაგები რეალიზაციიდან წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული აგს-ებისა და ნავთობბაზის იჯარიდან მიღებულ შემოსავალს.

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი წარმოადგენს იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს. 2023 წლისათვის აღნიშნული შეადგენს 425,972 ლარს (2022: 538,844).

7. სხვა საოპერაციო შემოსავლები

	2023	2022
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	2,485,922	-
მოგება მარაგად კლასიფიცირებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან	-	3,492,347
სხვა	20,572	103
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,506,494	3,492,450

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(423,648)	(299,133)
საიჯარო ქირა	(145,716)	(164,775)
რემონტის ხარჯი	(140,623)	(14,557)
სადაზღვეო ხარჯი	(79,953)	(20,514)
ცვეთა და ამორტიზაცია	(67,420)	(27,288)
საგადასახადო ხარჯი	(52,364)	(53,151)
კომუნალური ხარჯები	(42,879)	(41,701)
უიმედო და საექვ ვალის რეზერვი	(35,518)	(71,324)
საპენსიო ხარჯი	(7,773)	(5,264)
საკონსულტაციო ხარჯები	(7,627)	(5,085)
საწვავის ხარჯი	(6,114)	(5,713)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,625)	(3,468)
სხვა	(104,710)	(47,338)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,117,970)	(759,311)

9. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე	(336,803)	(63,293)
სხვა	(5,557)	(6,000)
სულ ფინანსური ხარჯი	(342,360)	(69,293)

შპს "Portal"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	აგზები და რეზერვუარები	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	1,468,617	506,315	68,119	38,106	133,030	146,731	2,360,918
შემოსვლა	316,871	3,220	12,608	-	-	22,966	355,665
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,785,488	509,535	80,727	38,106	133,030	169,697	2,716,583
შემოსვლა	18,989	-	66,964	752,276	-	-	838,229
გასვლა/ჩამოწერა	(314,023)	(109,640)	(34,508)	(752,276)	-	(16,134)	(1,226,581)
31 დეკემბერი 2023	1,490,454	399,895	113,183	38,106	133,030	153,563	2,328,231
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	(910,945)	(370,986)	(57,537)	(20,960)	(70,849)	(131,090)	(1,562,367)
ცვეთის ხარჯი	(242,732)	(78,483)	(8,314)	(4,584)	(19,955)	(14,390)	(368,458)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(1,153,677)	(449,469)	(65,851)	(25,544)	(90,804)	(145,480)	(1,930,825)
ცვეთის ხარჯი	(223,130)	(31,386)	(11,797)	(17,122)	(19,955)	(7,115)	(310,505)
გასვლა/ჩამოწერა	66,222	109,000	-	12,538	-	16,134	203,894
31 დეკემბერი 2023	(1,310,585)	(371,855)	(77,648)	(30,128)	(110,759)	(136,461)	(2,037,436)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	631,811	60,066	14,876	12,562	42,226	24,217	785,758
31 დეკემბერი 2023	179,869	28,040	35,535	7,978	22,271	17,102	290,795

11. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავტო გასამართი სადგურები	სულ
31 დეკემბერი 2021	1,918,190	1,808,231	1,704,366	5,430,787
შემოსვლა	1,200,717	17,756	23,390	1,241,863
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(357,073)	(357,073)
31 დეკემბერი 2022	3,118,907	1,825,987	1,370,683	6,315,577
შემოსვლა	-	-	305,297	305,297
გასვლა/ჩამოწერა	(760,543)	(17,756)	(517,934)	(1,296,233)
31 დეკემბერი 2023	2,358,364	1,808,231	1,158,046	5,324,641
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	-	(453,535)	(342,550)	(796,085)
ცვეთის ხარჯი	-	(86,899)	(110,775)	(197,674)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	94,772	94,772
31 დეკემბერი 2022	-	(540,434)	(358,553)	(898,987)
ცვეთის ხარჯი	-	(87,008)	(95,879)	(182,887)
გასვლა/ჩამოწერა	-	771	162,698	163,469
31 დეკემბერი 2023	-	(626,671)	(291,734)	(918,405)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	3,118,907	1,285,553	1,012,130	5,416,590
31 დეკემბერი 2023	2,358,364	1,181,560	866,312	4,406,236

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	34,585	34,585
სხვა მარაგები	20,227	33,296
სულ მარაგები	54,812	67,881

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	794,770	6,396,552
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	177,531	238,938
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(169,569)	(130,978)
ფინანსური აქტივები, ნეტო	802,732	6,504,512
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	12,645	14,244
გადახდილი ავანსების გაუფასურების ანარიცხი	(7,232)	(10,305)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	808,145	6,508,451

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფინანსური აქტივები	არაფინანსური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	(69,959)	-	(69,959)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის ზრდა	(61,019)	(10,305)	(71,324)
31 დეკემბერი 2022	(130,978)	(10,305)	(141,283)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის (ზრდა)/ამოტრიალება	(38,591)	3,073	(35,518)
31 დეკემბერი 2023	(169,569)	(7,232)	(176,801)

14. გაცემული სესხები

გაცემულ სესხს წარმოადგენს დამფუძნებელზე გაცემული სესხი 1,685,600 ლარის ოდენობით

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსი სრულად წარმოადგენს ბანკში არსებულ ფულად სახსრებს ეროვნულ ვალუტაში.

16. კაპიტალი

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგება/ზარალისა და საწესდებო კაპიტალისგან.

საწესდებო კაპიტალმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 4,000 ლარი, (2022:4,000)

2023 წელს კომპანიაში გამოცხადდა 3,399,879 ლარის ოდენობით დივიდენდი და გაიცა 12,151,879 ლარის ოდენობით. (2022: გამოცხადდა 11,666,241, და გაიცა 2,661,241).

დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია იხილეთ პირველ შენიშვნაში.

17. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი	ლარი	11.5%	2,736,603	1,970,293
სულ მოკლევადიანი სესხები			2,736,603	1,970,293

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	1,102,139	933,062
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	87,596	244,935
მიღებული ავანსები	53,368	1,583
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარისგან	-	14,782
სხვა ვალდებულებები	3,001,300	386
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,244,403	1,194,748